

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელეთა
საკონკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 1

ქობულეთი

31.07.2020 წელი

სხდომას ხელმძღვანელობდა:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის
საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის
თავმჯდომარე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის
მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი
გივი ვერულიძე

სხდომას ესწრებოდნენ :
საკონკურსო კომისიის წევრები:

თეონა გეგიძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის
მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის
იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი დუმბაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის
მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური
რესურსების მართვის განყოფილების მ/შ წევრი

გენადი კირჩხელი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის
სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის
ხელმძღვანელი წევრი;

სულხან ნიყარაძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო
მოსამსახურეთა პროფესიული გაერთიანების თავმჯდომარე - წევრი;

დღის წესრიგი:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ვაკანტურ თანამდებობებზე ღია საჯარო კონკურსის
ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა; ღია საჯარო კონკურსის ჩატარების პირობების,
ეტაპების, შეფასების ფორმების განსაზღვრა;

მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე-გივი ვერულიძე
მოისმინეს:

„საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქობულეთის
მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 31 ივლისის N01-06 514 ბრძანების შესახებ ინფორმაცია.

გივი ვერულიძემ აღნიშნა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით გამოცხადდა
ღია საჯარო კონკურსი და კომისიას დაევალა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. შესაბამისად
კონკურსის მოთხოვნები უნდა გამოქვეყნდეს საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებად ვებ
გვერდზე www.hr.gov.ge-ზე. კომისისამ უნდა განსაზღვროს საჯარო კონკურსის ჩატარების ფორმები,
პირობები, ეტაპები, შეფასების ფორმები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

კომისიის თავმჯდომარემ გივი ვერულიძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია კონკურსი ჩატარდეს 3 ეტაპად. კერძოდ:

1. განცხადებების გადარჩევა;
2. ზეპირი დავალების მიცემა
3. გასაუბრება.

გივი ვერულიძემ აღნიშნა, რომ უმჯობესია კონკურსის გამოცხადების თაობაზე განცხადება შეიცავდეს მოთხოვნას, რომ კონკურსატმა საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებად ვებ გვერდზე (www.hr.gov.ge)-ზე აუცილებლად უნდა ატვიროს - შესაბამისი სამუშაო ადგილი, მოქმედი მოხელის, გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლ(ებ)ი (უცხოურ ენაზე გაცემული ცნობის არსებობის შემთხვევაში, ასევე, ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი). აღნიშნულ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი ვაკანტური თანამდებობისთვის დადგენილ დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებით განსაზღვრულ სამუშაო სფეროს/მიმართულებას და მოთხოვნილი სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობას. აღნიშნული დოკუმენტების ატვირთვა უნდა იყოს სავალდებულო, რომლის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში კონკურსანტის განაცხადი არ იქნეს განხილული კონკურსის პირველ ეტაპზე. კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტებს განაცხადის შესატანად მიეცემათ 5 კალენდარული დღე.

აზრი გამოთქვეს კომისიის სხვა წევრებმაც და განაცხადეს, რომ პირველ ეტაპზე განცხადებების გადარჩევა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის N215 დადგენილებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

კომისიამ გადაწყვიტა:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის „საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე ღია საჯარო კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 31 ივლისის N01-06 514 ბრძანების შესაბამისად განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

1. განცხადებების გადარჩევა;

2. ზეპირი დავალების მიცემა, გასაუბრება.

2. კონკურსში მონაწილეობის პრეტენდენტებისათვის საბუთების ვადა განისაზღვროს კონკურსის გამოცხადების დღიდან (www.hr.gov.ge)-ზე გამოქვეყნების დღე) 5 კალენდარული დღის ვადით. საბუთების მიღება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ გვერდის მეშვეობით- (www.hr.gov.ge).

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის „საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისიის მისამართად განისაზღვროს: ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი N141. (მერიის ადმინისტრაციული შენობა).

4. კონკურსანტის განაცხადი არ განიხილება და მოიხსნება კონკურსიდან, თუკი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებად ვებ გვერდზე (www.hr.gov.ge). არასრულყოფილად ატვირთავს სავალდებულოდ ასატვირთ დოკუმენტს.

5. კონკურსის პირველ ეტაპზე სრულყოფილად წარმოდგენილი განცხადებების გადარჩევა მოხდება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის N215 დადგენილებისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

6. კონკურსის მე-2 ეტაპზე მონაწილეობის მიღების უფლება მიეცემათ მხოლოდ იმ კონკურსანტებს, რომლებიც კონკურსის პირველი ეტაპის განაცხადის გადარჩევის საფუძველზე დააკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს.

7. განცხადებების გადარჩევა განხორციელდეს განაცხადების მიღების დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

მოისმინეს:

თონა გეგიძის ინფორმაცია კონკურსის მეორე ეტაპთან დაკავშირებით, რომლის ფორმადაც განისაზღვრა ზეპირი დავალების მიცემა. კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულთან დაკავშირებით და გადაწყვიტეს, რომ ამ ეტაპზე (ზეპირი დავალების მიცემა) კონკურსანტის შეფასება

განხორციელდება კონკრეტული თანამდებობისთვის (რომლის დასაკავებლადაც ხდება მისი შეფასება) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების ცოდნით.

გადაწყდა:

მეორე ეტაპზე - ზეპირი დავალების მიცემა - კონკურსანტის შეფასება განხორციელდეს კონკრეტული თანამდებობისთვის (რომლის დასაკავებლადაც ხდება მისი შეფასება) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დადგენილი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების ცოდნით.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ- გივი ვერულიძემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია კონკურსის შემდეგ ეტაპზე -გასაუბრებაზე კონკურსანტები შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმით: კონკურსანტის კომუნიკაბელურობა, პრეზენტაბელურობა, მეტყველების უნარი, ანალიტიკური აზროვნებით, ასევე კონკურსანტის ხედვის შეფასებას, კონკრეტულ პოზიციის მიხედვით, მის ცოდნის შეფასებას, სფეროში არსებული სიახლეების რეფორმების, პრობლემებისა მისი გადაჭრის გზების შესახებ.

მოისმინეს:

გივი ვერულიძის მოსაზრება კანდიდატის შეფასებასთან დაკავშირებით, კონკურსის მეორე და მესამე ეტაპზე (ზეპირი დავალება და გასაუბრება)- კანდიდატი შემოწმდეს მაქსიმალური 10-10 ქულით, კერძოდ: თითოეული კანდიდატის საბოლოო შეფასებად ჩაითვალოს საშუალო არითმეტიკული ქულა, რომლის მისაღებად კომისიის წევრთა მიერ კანდიდატისათვის დაწერილი ქულები შეჯამდება და გაიყოფა იმ რიცხვზე რამდენი კომისიის წევრიც აფასებს კონკრეტულ კანდიდატს.

იმ შემთხვევაში, თუ ვერცერთი კანდიდატი ვერ გადალახავს დაწესებულ ბარიერს, აღნიშნულ პოზიციაზე კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდეს. ასევე აღინიშნა, რომ კონკურსის მეორე ეტაპზე რეგისტრაციის დროის განმავლობაში დაწყებიდან ერთი საათის განმავლობაში) კანდიდატის გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შემთხვევაში, მიუხედავად გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შემთხვევის მიზეზისა (საპატიო/არასაპატიო) მონაწილე ფასდება 0 ქულით.

გადაწყდა:

1.კანდიდატის საბოლოო შეფასება მოხდეს გასაუბრების ორივე ეტაპზე მიღებული ქულების საერთო შეჯამებით.ორივე ეტაპის დასრულების შემდეგ თითოეული კანდიდატისათვის ხდება მის მიერ ორივე ეტაპზე (ზეპირი დავალება და გასაუბრება) დაგროვებული ქულების შეჯამება და გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულას, მაგრამ არანაკლებ 13 ქულისა.(კანდიდატი, რომელიც მიიღებს 13 ქულაზე ნაკლებს, არ ჩაითვლება გამარჯვებულად.

2.კონკურსანტის გასაუბრების მიმდინარეობის ვიდეო გადაღება მოხდეს კონკურსანტის სურვილის შემთხვევაში.

3.კომისიის თავმჯდომარეს მიენიჭოს უფლება დამსწრე ფიზიკური ან იურიდიულ პირს, რომელიც ხელს შეუშლის კონკურსის მიმდინარეობას, მიეცეს სიტყვიერი გაფრთხილება, ხოლო ხელის შეშლის განმეორების შემთხვევაში დაატოვებინოს დარბაზი.

4.კონკურსანტებს შორის ჯამურად თანაბარი ქულების შემთხვევაში გამარჯვებულად გამოვლინდება ის კონკურსანტი, რომელმაც უფრო მაღალი შეფასება მიიღო.

5. კონკურსანტებს ორივე ეტაპის გასაუბრების ჩატარების დროის შესახებ ეცნობებათ დამატებით, გრაფიკის შესაბამისად.

6. ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებამ უზრუნველყოს ამ ოქმით გათვლისწინებულ ეტაპებთან დაკავშირებით შესაბამისი კონკურსანტების ინფორმირება, მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის

მისამართისა და დამატებით მობილურ ტელეფონებზე სმს შეტყობინების გაგზავნით, კომისიის გადაწყვეტილების ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე WWW.kobuleti.org.ge. გამოქვეყნების გზით.

კომისიის თავჯდომარე

გივი ვერულიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

თეონა გეგიძე

კომისიის წევრები:

გიორგი დუმბაძე

გენადი კირჯელი

სულხან ნიყარაძე